

თემურ ტულუში

საკონსტიტუციო სასამართლოს ბოლოდროინდელი პრაქტიკა ადამიანის თავისუფლების უფლებასთან დაკავშირებით

თემურ ტულუში

*საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს სამართლებრივი
უზრუნველყოფისა და კვლევების დეპარტამენტის
მთავარი მრჩეველი.*

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მეორე კოლეგიამ 2009 წლის 6 აპრილს გამოიტანა გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

მოცემულ საქმეზე დავის საგანს წარმოადგენდა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის (შემდგომში სსსკ) 142-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტის კონსტიტუციურობის საკითხი საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის პირველ პუნქტთან და მე-3 პუნქტის პირველ წინადადებასთან მიმართებით. სსსკ-ის 142-ე მუხლი, სათაურია „დაკავების საფუძველი“. იგი განსაზღვრავს იმ საფუძველებს, რომელთა არსებობის შემთხვევაშიც შესაძლებელია განხორციელდეს დანაშაულის ჩადენაში ეჭვმიტანილი პირის დაკავება. სადავო ნორმა აყალიბებს ერთ-ერთ ასეთ საფუძველს, „დანაშაულის ჩადენაში ეჭვმიტანილი პირის დაკავება შეიძლება, თუ არსებობს შემდეგი საფუძველები... ვ) პირი შესაძლოა მიიმალოს“.

მოცემული საქმე საინტერესოა იმდენად, რამდენადაც 1.) ზემოაღნიშნულ გადაწყვეტილებას წინ უსწრებდა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2003 წლის 29 იანვრის #2/3/182,185,191 გადაწყვეტილება, რომლითაც სასამართლომ არაკონსტიტუციურად ცნო სახალხო დამცველის მიერ სადავოდ გამხდარი ნორმის მსგავსი შინაარსის მქონე ნორმა, სსსკ-ის 142-ე მუხლის მე-2 ნაწილი და 2.) სადავო ნორმით ხდებოდა ჩარევა ადამიანის ისეთ ფუნდამენტურ უფლებებში, როგორიცაა ფიზიკური თავისუფლების უფლება.

სადავო ნორმა კანონმდებლის მიერ შემოღებულ იქნა საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ #2/3/182,185,191 გადაწყვეტილების გამოტანის შემდგომ, 2006 წლის 29 დეკემბერს. შესაბამისად, საკონსტიტუციო სასამართლოს წინაშე წამოიჭრა საკითხი, კანონმდებელმა ხომ არ მოახდინა საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ არაკონსტიტუციურად ცნობილი

ნორმის რეინკრანაცია („გაცოცხლება). თუკი საკონსტიტუციო სასამართლო მიიჩნევდა, რომ სადავოდ გამხდარი სსსკ-ის 142-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტი შეიცავდა იგივე შინაარსს, რასაც უკვე არაკონსტიტუციურად ცნობილი სსსკ-ის 142-ე მუხლის მეორე ნაწილი, მაშინ საკონსტიტუციო სასამართლო „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 25-ე მუხლის 4¹ პუნქტის შესაბამისად, სარჩელს აღარ მიიღებდა არსებითად განსახილველად და განმწესრიგებელ სხდომაზევე ცნობდა სადავო ნორმას ძალადაკარგულად. იმ შემთხვევაში კი, თუკი უკვე არაკონსტიტუციურად ცნობილ ნორმასა და სადავოდ გამხდარ ნორმას შორის შინაარსობრივი იდენტურობა დადგინდებოდა და საქმის განმხილველი კოლეგია არ გაიზიარებდა სასამართლოს მიერ 2003 წლის 29 იანვრის #2/3/182,185,191 გადაწყვეტილებაში გამოხატულ სამართლებრივ პოზიციებს, მაშინ საქმე „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21¹ მუხლის თანახმად, გადაეცემოდა პლენუმს.

სამეცნიერო წრეებში, კერძოდ, პროფესორ ო. გამყრელიძის მიერ გამოითქვა მოსარზებები, რომ სასამართლომ გადაწყვეტილებაში სათანადო ყურადღება არ დაუთმო აღნიშნული საკითხის გადაწყვეტას. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საკითხი, ახლად შემოღებული ნორმით ხომ არ ხდება არაკონსტიტუციურად ცნობილი ნორმის ნორმატიული შინაარსის გაცოცხლება, წარმოადგენს განმწესრიგებელ სხდომაზე და არა საქმის არსებითად განხილვის დროს გადასაწყვეტ საკითხს. შესაბამისად, აღნიშნული საკითხის გადაწყვეტა წინ უსწრებდა საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანას და იგი სასამართლომ გადაწყვიტა 2007 წლის 29 მაისის #2/1-415 საოქმო ჩანაწერით. საკითხის განხილვის დროს, საკონსტიტუციო სასამართლომ მოახდინა როგორც არაკონსტიტუციურად ცნობილი სსსკ-ის 142-ე მუხლის მეორე ნაწილისა¹ და სადავოდ გამხდარი სსსკ-ის 142-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტის შედარებითი ანალიზი, ასევე ყურადღება გაამახვილა იმ სამართლებრივ პოზიციებზე, რომლებიც გამოთქმულ იქნა საკონსტიტუციო სასამართლოს 2003 წლის 29 იანვრის #2/3/182,185,191 გადაწყვეტილებაში და რომლებიც საფუძვლად დაედო სსსკ-ის 142-ე მუხლის მეორე ნაწილის არაკონსტიტუციურად ცნობას.

საკონსტიტუციო სასამართლოს 2003 წლის 29 იანვრის #2/3/182,185,191 გადაწყვეტილების შინაარსიდან გაირკვა, რომ მოსარჩელე, საქართველოს სახალხო დამცველი ყურადღებას ამახვილებდა იმაზე, რომ სსსკ-ის 142-ე მუხლის მეორე ნაწილი იძლეოდა პირის დაკავების შესაძლებლობას ამავე მუხლის პირველი ნაწილისაგან განსხვავებული, „სხვა მონაცემების“ საფუძველზე. ეს მიმართული იყო იმისკენ, რომ მომხდარიყო ე.წ. „საქმის პროვოცირება“ და

¹ მუხლი 142. დაკავების საფუძველი

1. დანაშაულის ჩადენაში ეჭვმიტანილი პირის დაკავება შეიძლება, თუ არსებობს შემდეგი საფუძველები:

ა) პირს წაასწრეს დანაშაულის ჩადენისას ან ჩადენისთანავე;
 ბ) თვითმხილველები, მათ შორის, დაზარალებულებიც, პირდაპირ მიუთითებენ ამ პირზე, როგორც დანაშაულის ჩამდენზე;
 გ) პირზე, მასთან ან მის ტანსაცმელზე აღმოჩნდება ჩადენილი დანაშაულის აშკარა კვალი;
 დ) პირი მიიმალა დანაშაულის ჩადენის შემდეგ, მაგრამ შემდგომ იგი ამოიციო დაზარალებულმა;
 ე) პირის მიმართ გამოტანილია განჩინება (დადგენილება) ძებნის წარმოების შესახებ.

2. თუ არსებობს სხვა მონაცემები, რომლებიც საფუძველს იძლევა, დანაშაულის ჩადენის ეჭვი იქნეს მიტანილი პირზე, ეს პირი შეიძლება დააკავონ მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა იგი გაქცევას ცდილობდა, ან მას არა აქვს მუდმივი საცხოვრებელი ადგილი, ან არ არის დადგენილი მისი ვინაობა.

3. დაკავებისაგან განთავისუფლებული პირის ხელმეორედ დაკავება იმავე ეჭვით არ შეიძლება.

„სხვა (გადაუმოწმებელი) მონაცემების“ საფუძველზე, განხორციელებულიყო პირის დაკავება მხოლოდ იმ ფორმალური მოტივით, რომ მისი პიროვნება არ იყო დადგენილი ან მას არ ქონდა მუდმივი საცხოვრებელი ადგილი. ნორმის იურიდიული ტექნიკის მხრივ გაუმართაობაზე მიუთითებდა ასევე მოპასუხის, საქართველოს პარლამენტის წარმომადგენელი.

საკონსტიტუციო სასამართლომ 2003 წლის 29 იანვრის გადაწყვეტილებაში იმსჯელა, რამდენად იყოს კონსტიტუციური, პირის დაკავებას საფუძველად დადებოდა „სხვა მონაცემები, რომლებიც საფუძველს იძლევა, დანაშაულის ჩადენაში ეჭვი იქნეს მიტანილი პირზე“. საკონსტიტუციო სასამართლომ ჩათვალა, რომ „...საქართველოს კონსტიტუცია არ იცნობს პირის დაკავების შესაძლებლობას „სხვა მონაცემების“ საფუძველზე, ეს მონაცემები შეიძლება საფუძველად დაედოს ეჭვს და არა პიროვნების თავისუფლების შეზღუდვას“. საკონსტიტუციო სასამართლომ ყურადღება გაამახვილა ასევე იმ საკითხზე, რომ ფრაზა „...დანაშაულის ჩადენაში ეჭვი იქნეს მიტანილი პირზე...“, იყო ორაზროვანი და გაუგებარი, იყო ამ შემთხვევაში რას გულისხმობდა კანონმდებელი, უკვე ჩადენილ დანაშაულს თუ დანაშაულის ჩადენის შესაძლებლობასაც, მაშინ როცა ამავე მუხლის პირველი ნაწილი ამ საკითხს წყვეტდა მკაფიოდ. საკონსტიტუციო სასამართლომ ასევე ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ სსსკ-ის 142-ე მუხლში მოცემული ფორმულირება „... არა აქვს მუდმივი საცხოვრებელი ადგილი, ან არ არის დადგენილი მისი ვინაობა“ ვერ ჩაითვლებოდა იმ მიზნების შესაბამისად, რა მიზნებითაც შეიძლება მოტივირებული იყოს პირის დაკავება. ამასთანავე, სასამართლომ შეაფასა ის სამართლებრივი სივრცე, რომელშიც ნორმა არსებობდა. კერძოდ, მან სსსკ-ის 142-ე მუხლი განიხილა „იმ მუხლებთან ერთობლივად, რომლებიც ძირითადად შეეხება პირის დაკავების 12 საათიან ვადას, ამ დროის განმავლობაში დაკავებული პირის სტატუსსა და მის უფლებრივ მდგომარეობას“. რამდენად კონსტიტუციური იქნებოდა დანაშაულის ჩადენაში ეჭვმიტანილი პირის დაკავება იმ შემთხვევაში „როცა იგი გაქცევას ცდილობდა“, არც მხარეებსა და არც საკონსტიტუციო სასამართლოს, ყურადღება არ გაუმახვილებიათ.

ზემოაღნიშნული ანალიზის საფუძველზე, საკონსტიტუციო სასამართლოს მეორე კოლეგიამ 2007 წლის 29 მაისის #2/1-415 საოქმო ჩანაწერით გადაწყვიტა, რომ სადავოდ გამხდარი სსსკ-ის 142-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტი არ იყო არაკონსტიტუციურად ცნობილი სსსკ-ის 142-ე მუხლის მეორე ნაწილის ანალოგიური შინაარსის მატარებელი. კერძოდ, 1.) სადავო ნორმა, არაკონსტიტუციურად ცნობილი ნორმისგან განსხვავებით არ იძლევა ორაზროვანი განმარტების საშუალებას, საუბარია უკვე ჩადენილ დანაშაულში ეჭვმიტანილ პირზე თუ იმ პირზე, რომელიც შეიძლება ეჭვმიტანილი იყოს დანაშაულის ჩადენის შესაძლებლობაში. სადავო ნორმაში მოცემულია მკაფიო ფორმულირება „დანაშაულის ჩადენაში ეჭვმიტანილი პირის დაკავება შეიძლება“ 2.) იგი არ იძლევა რაიმე სახის „სხვა მონაცემების საფუძველზე პირის დაკავების“ შესაძლებლობას. მასში ნათლად არის მოცემული ის საფუძველი, რომლის დროსაც შესაძლებელია პირის დაკავება, როდესაც „პირი შეიძლება მიიძღლოს“. 3.) სადავო ნორმა არ ადგენს სსსკ-ის 141-ე მუხლით გათვალისწინებული პირის დაკავების მიზნებისგან განსხვავებულ სხვა რაიმე მიზანს.

სასამართლომ ხაზი გაუსვა ასევე იმ გარემოებას, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს 2003 წლის 29 იანვრის გადაწყვეტილების გამოტანის შემდგომ, საქართველოს პარლამენტის მიერ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში განხორციელდა მთელი რიგი ცვლილებები,

რის გამოც, შეიცვალა ის სამართლებრივი სივრცე, რომელშიც უწევს არსებობა სადავოდ გამხდარ ნორმას, არაკონსტიტუციურად ცნობილი ნორმისგან განსხვავებით. კერძოდ, აღარ არსებობს პირის დაკავების 12 საათიანი ან რაიმე სხვა ვადა, რომლის განმავლობაში იგი უსტატუსოდ იმყოფება და მოკლებულია სამართლებლი დაცვის შესაძლებლობას. იგი დაკავებისთანავე იძენს ექვმიტანილის სტატუსს და სარგებლობს სამართლებრივი დაცვის ყველა საშუალებით.

ვინაიდან სადავოდ გამხდარი ნორმა არ აღმოჩნდა არაკონსტიტუციურად ცნობილი ნორმის შინაარსის ანალოგიური, შესაბამისად, არ არსებობდა საკონსტიტუციო სასამართლო „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 25-ე მუხლის 4¹ პუნქტით გათვალისწინებული, სადავო ნორმის ძალადაკარგულად ცნობის საფუძველი.

კოლეგიამ დაადგინა, რომ სადავო ნორმით მოცემული ნორმატიული რეგულირება, რომელიც განსაზღვრავს დანაშაულის ჩადენაში ექვმიტანილი პირის დაკავების შესაძლებლობას, მიმართებაში იყო საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლით გარანტირებულ ადამიანის თავისუფლების უფლებასთან. რადგან იმ საკითხთან დაკავშირებით, რამდენად კონსტიტუციური იქნებოდა დანაშაულის ჩადენაში ექვმიტანილი პირის დაკავება იმ შემთხვევაში, როცა იგი „შეიძლება მიიმალს“ („გაქცევას ცდილობდა“), საკონსტიტუციო სასამართლოს 2003 წლის 29 იანვრის გადაწყვეტილებაში არ არსებობდა საკონსტიტუციო სასამართლოს მკვეთრად ჩამოყალიბებული მიდგომა, რომელიც მისცემდა საკონსტიტუციო სასამართლოს მეორე კოლეგიას ამ კუთხით სადავო ნორმის შინაარსის შეფასების საშუალებას, ესე იგი საკითხი არ იყო გადაწყვეტილი საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ, კოლეგიამ აღნიშნული სარჩელი მიიღო არსებითად განსახილველად.

პროფესორ ო. გამყრელიძის მიერ გამოითქვა აზრი, რომ ტერმინები „პირი გაქცევას ცდილობდა“ და „პირი შეიძლება მიიმალს“, ანალოგიური შინაარსის მატარებლები არიან. შესაბამისად, სადავო ნორმა ადგენს იგივე ნორმატიულ რეგულირებას, რასაც ადგენდა არაკონსტიტუციურად ცნობილი ნორმა და აქედან გამომდინარე, საკონსტიტუციო სასამართლოს სადავო ნორმა განმწესრიგებელ სხდომაზევე უნდა ეცნო ძალადაკარგულად.

საოქმო ჩანაწერში საკონსტიტუციო სასამართლოს მსჯელობის საგანს წარმოადგენდა არა ის, რამდენად იდენტური შინაარსის მატარებლები იყვნენ ტერმინები „პირი გაქცევას ცდილობდა“ და „პირი შეიძლება მიიმალს“, არამედ ის ნორმატიული რეგულირებები, რომლებშიც არსებობდნენ აღნიშნული ტერმინები. ტერმინი „პირი გაქცევას ცდილობდა“ არსებობდა შემდეგ ნორმატიულ რეგულირებაში: „თუ არსებობს სხვა მონაცემები, რომლებიც საფუძველს იძლევა, დანაშაულის ჩადენის ექვი მიტანილ იქნეს პირზე, ეს პირი შეიძლება დააკავონ მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა იგი გაქცევას ცდილობდა“. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, აქ მთავარი განმსაზღვრელი ფაქტორია ის, თუ რომელ პირზეა საუბარი. 2003 წლის გადაწყვეტილებაში სასამართლომ განმარტა, რომ ამის გარკვევა შეუძლებელი იყო. ტერმინი „პირი შეიძლება მიიმალს“ არსებობს აბსოლუტურად სხვა ნორმატიულ რეგულირებაში: „დანაშაულის ჩადენაში ექვმიტანილი პირის დაკავება შეიძლება, თუ არსებობს შემდეგი საფუძველები... ვ) პირი შესაძლოა მიიმალს“. აქ ნათლად ჩანს, რომ საუბარია იმ პირის

დაკავების შესაძლებლობაზე, რომელიც დანაშაულის ჩადენაშია ეჭვმიტანილი. როგორც ვხედავთ, აღნიშნული ნორმატიული რეგულირებები განსხვავდება ერთმანეთისაგან და სწორედ ამ საკითხის გადაწყვეტა წარმოადგენდა საკონსტიტუციო სასამართლოს მსჯელობის საგანს. კანონმდებელს, რომ არ შემოედო ახალი ტერმინი „პირი შეიძლება მიიმალოს“ და დაეტოვებინა ძველი ტერმინი „პირი გაქცევას ცდილობდა“, არაკონსტიტუციურად ცნობილი ნორმა და სადავო ნორმა მაინც განსხვავებული შინაარსის მატარებლები იქნებოდნენ, ვინაიდან ისინი განსხვავებული ნორმატიულ რეგულირებას ადგენენ.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან ნათლად ჩანს, საოქმო ჩანაწერში თუ როგორ დეტალურად იქნა საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ ზემოთ აღნიშნული საკითხი განხილული და გადაწყვეტილი. ამასთან, მოსაზრება იმის შესახებ, რომ საკონსტიტუციო სასამართლომ სათანადო ყურადღება არ დაუთმო აღნიშნულ საკითხს გადაწყვეტილებაში, უსაფუძვლოა. საკონსტიტუციო სასამართლო გადაწყვეტილებაში, რომლითაც საქმეს წყვეტს არსებითად, განმეორებით არ იმსჯელებს იმ საკითხზე, რომელიც წარმოადგენს განმწესრიგებელ სხდომაზე გადასაწყვეტ საკითხს და რომელიც მას უკვე გადაწყვეტილი აქვს განმწესრიგებელ სხდომასთან დაკავშირებული დოკუმენტით (საოქმო ჩანაწერით).

რაც შეეხება სადავო ნორმით გათვალისწინებულ რეგულირებას, მოსარჩელეს, საქართველოს სახალხო დამცველს მიაჩნდა, რომ პირის დაკავების შემთხვევაში უნდა არსებობდეს ეჭვის განსაზღვრული ხარისხი. ეს, დაკავებული პირის წარდგენის შემდეგ, სასამართლოს მისცემს იმის შესაძლებლობას, რომ გადაწყვიტოს შესაბამისი ალკვეთის ღონისძიების გამოყენების საკითხი. გონივრული ეჭვის სტანდარტი დაკავებაზე უფლებამოსილ პირს არ მისცემდა თვითნებობის შესაძლებლობას. მას მიაჩნდა, რომ სადავო ნორმა, იყო რა დაკავების საფუძველი, თვითონ უნდა იყოს საფუძვლიანი ეჭვის წარმოშობის წყარო, რომ პირმა ჩაიდინა დანაშაული. სსსკ-ის 142-ე მუხლის პირველი ნაწილის სხვა ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დაკავების საფუძველები, როგორიცაა მაგალითად, რომ პირს წაასწრეს დანაშაულის ჩადენისას, თვითმხილველი ან დაზარალებული მიუთითებს მასზე, სახალხო დამცველის აზრით, ახდენდნენ საფუძვლიანი ეჭვის გენერირებას. სადავო ნორმით განსაზღვრული საფუძველი კი, რომ პირი შეიძლება მიიმალოს, არათუ ნეიტრალურ დამკვირვებელზე, არამედ დაინტერესებული პირის შემთხვევაშიც კი არ ბადებს პირის მიერ დანაშაულის ჩადენის ეჭვს. ის გარემოება, რომ 142-ე მუხლის პირველი ნაწილის ფორმულირებაში პირდაპირაა მითითებული, რომ იგი განსაზღვრავს „დანაშაულის ჩადენაში ეჭვმიტანილი პირის დაკავების“ და არა ნებისმიერ პირის დაკავების საფუძველებს, სახალხო დამცველი უკავშირებდა კანონმდებლის სურვილს, ერთმანეთისგან გაემიჯნა „ეჭვმიტანილისა“ და „ბრალდებულის“ დაკავება. მისი აზრით, მიუხედავად ამ ჩანაწერისა, დაკავებაზე უფლებამოსილი პირი არ არის ვალდებული, პირის დაკავებისას გააჩნდეს ამ უკანასკნელის მიერ დანაშაულის ჩადენის ეჭვი. ხოლო ასეთი ეჭვის არარსებობის შემთხვევაში, პირის დაკავება დაუსაბუთებელი და არაკონსტიტუციურია.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ საქართველოს უზენაესი სასამართლოდან გამოთხოვილი იქნა სტატისტიკური მონაცემები, სადავო ნორმის საფუძველზე განხორციელებული რამდენი დაკავება იქნა გასაჩივრებული დაკავებული პირების მიერ და აღნიშნულ საჩივრებზე სასამართლოების მიერ რა გადაწყვეტილებები იქნა გამოტანილი.

აღნიშნული საინტერესო იყო იმდენად, თუ როგორ იყო გაგებული სადავო ნორმა სამართალგამოყენებით პრაქტიკაში და მართლაც ხომ არ ხედავდა მაში სამართალშემფარდებელი რესურსს, მოეხდინა პირის დაკავება ისე, რომ მის მიმართ არ ყოფილიყო დანაშაულის ჩადენის ეჭვი და სახეზე ყოფილიყო მხოლოდ მისი მიმალვის საფრთხე. უზენაესი სასამართლოდან მოწოდებული სტატისტიკის მიხედვით გაირკვა, რომ საერთო სასამართლოების მიერ, არათუ დაუსაბუთებელი დაკავების ფაქტი არ დადგენილა, აღნიშნული საკითხი საერთოდ არ გამხდარა საერთო სასამართლოების მსჯელობის საგანი, ვინაიდან სადავო ნორმის საფუძველზე განხორციელებული არც ერთი დაკავება, დაკავებული პირების მიერ არ გასაჩივრებულა. აღნიშნული გარემოება სახალხო დამცველმა ახსნა იმით, რომ გასაჩივრების პროცედურები იმდენად რთული და არაეფექტურია, მიუხედავად იმისა, რომ იძლევა უკანონოდ და დაუსაბუთებლად განხორციელებული დაკავებით მიყენებული ზიანის სრული ანაზღაურების შესაძლებლობას, პირს არ უღირს გაასაჩივროს დაკავების კანონიერება და დასაბუთებულობა.

საკონსტიტუციო სასამართლომ 2009 წლის 6 აპრილის გადაწყვეტილებაში საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლით გათვალისწინებული „ადამიანის თავისუფლება“ განმარტა უფრო ვიწრო ასპექტში, ვიდრე იგი თავისი სიტყვასიტყვითი მნიშვნელობით შეიძლება წარმოჩინდეს. სასამართლოს აზრით, მე-18 მუხლით გათვალისწინებული უფლება კავშირში არაა, მაგალითად, კონსტიტუციის სხვადასხვა მუხლებით დაცულ სიტყვის, რწმენის, ინფორმაციის თავისუფლებებთან. სასამართლომ მიუთითა: „იგი გულისხმობს ადამიანის ფიზიკურ თავისუფლებას, მის უფლებას, თავისუფლად გადაადგილდეს ფიზიკურად, თავისი ნების შესაბამისად, იმყოფებოდეს ან არ იმყოფებოდეს რომელიმე ადგილზე. ადამიანის თავისუფლება არის მისი გადაადგილების თავისუფლება ვიწრო გაგებით. თუმცა აშკარად განსხვავებულია იმ ჩარევების ინტენსიურობა და სიძლიერა, რომლისგანაც ამ უფლებებს იცავს კონსტიტუცია. ადამიანის თავისუფლებაში ჩარევა უფრო წონადია და კონსტიტუციაც მისგან დასაცავად განსაკუთრებულ რეგულირებებს ადგენს“. აღნიშნული უფლების წარმოშობა, სასამართლოს აზრით, უკავშირდება იმ საფრთხეს, რომელიც ადამიანს ემუქრება შეუზღუდავი ხელისუფლების მხრიდან და მიუთითა ხელისუფლის ვალდებულებაზე, მასში ჩარევა განახორციელოს მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში.

მიუხედავად თავისუფლების უფლების აღმატებულ ხარისხში განხილვისა, სასამართლომ იგი არ მიიჩნია აბსოლუტურ და შეუზღუდავ უფლებად და განაცხადა, რომ მკაცრი კონსტიტუციურ-სამართლებრივი მოთხოვნების გათვალისწინებით, მასში ჩარევა შესაძლებელია. ამასთან, სასამართლოს აზრით, მით უფრო მკაცრი უნდა გახდეს კონსტიტუციურ-სამართლებრივი მოთხოვნები, რაც უფრო ინტენსიურად ხდება უფლებაში ჩარევა, ვინაიდან მისი ყველაზე ინტენსიური ფორმა – თავისუფლების აღკვეთა მკვეთრად აფერხებს, ხოლო ზოგ შემთხვევაში საერთოდ გამორიცხავს ადამიანის მიერ სხვა კონსტიტუციური უფლებებით სარგებლობის შესაძლებლობას.

რადგან სადავო ნორმა განსაზღვრავს პირის დაკავების, ესე იგი თავისუფლების შეზღუდვის საფუძველს, იჭრება რა (ერეოდა) საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლით გათვალისწინებულ უფლებაში, საკონსტიტუციო სასამართლომ იგი კონსტიტუციურ-სამართლებრივად შეამოწმა მე-18 მუხლის მე-3 პუნქტის პირველ წინადადებასთან როგორც ფორმალური,

ასევე მატერიალურ-სამართლებრივი თვალსაზრისით. საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლით გაკეთებული საკანონმდებლო დათქმა, რომ ადამიანის დაკავება შეიძლება მხოლოდ კანონით განსაზღვრულ შემთხვევაში, მიმართულია იქით, რომ აღნიშნული საკითხის მოწესრიგება მხოლოდ საკანონმდებლო ხელისუფლების პრეროგატივაა და ხელისუფლების სხვა ნებისმიერი შტოს მიერ ნებისმიერ ნორმატიული აქტით ამ საკითხის გადაწყვეტა ფორმალური თვალსაზრით იქნება კონსტიტუციის საწინააღმდეგო. სადავო ნორმა წარმოადგენს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ნორმას, რომელიც „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით, წარმოადგენს საკანონმდებლო აქტს, შესაბამისად, იგი შეიძლება ჩაითვალოს „ადამიანის დაკავების კანონით განსაზღვრულ შემთხვევად“ და აღნიშნულიდან გამომდინარე, სრულად შეესაბამება კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრულ ფორმალურ-სამართლებრივ ტექსტს.

იმ შემთხვევაში, თუკი საკონსტიტუციო სასამართლო თავისუფლების უფლებაში ჩარევის შემოწმებისას შემოიფარგლებოდა მხოლოდ ფორმალურ-სამართლებრივი შეფასებით, იგი კანონმდებელს დაუტოვებდა უდიდესი თვითნებობის არეალს. კანონმდებელმა კანონით შეიძლება განსაზღვროს აღნიშნულ უფლებაში ჩარევის ისეთი შემთხვევები, რომლებიც გამოიწვევდა უფლებაში გაუმართლებელ, არაპროპორციულ ჩარევას და ამით თვით უფლებას აქცევდა ფიქციად. სასამართლომ აღნიშნა, რომ „მიუხედავად იმისა, რომ დაკავება ნაკლებად მძიმე ჩარევაა ადამიანის თავისუფლებაში, ვიდრე, თუნდაც საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული აღკვეთის ღონისძიება – დაპატიმრება, აუცილებლად უნდა არსებობდეს ის მყარი კონსტიტუციურ-სამართლებრივი ბარიერი, რომლის გადალახვაც აკრძალული იქნება ძირითად უფლებაში ჩარევისას. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ეს ბარიერი უფრო დაბალია, ვიდრე ძირითად უფლებაში სხვა უფრო მძიმე ჩარევების შემთხვევაში“. სასამართლოს აზრით, თანაზომიერების პრინციპიდან გამომდინარე, უფლებაში ნებისმიერი ჩარევა უნდა ემსახურებოდეს ლეგიტიმურ მიზანს და უნდა იყოს ამ მიზნის მიღწევის თანაზომადი საშუალება.

მოცემულ შემთხვევაში უფლებაში ჩარევის ლეგიტიმურ მიზანს წარმოადგენდა მართლმსაჯულების განხორციელება. შესაბამისად, სასამართლოს წინაშე იდგა ამოცანა, დაედგინა სადავო ნორმით მოცემული რეგულირება იყო თუ არა აღნიშნული მიზნის მიღწევის საშუალება, ხომ არ აკისრებდა იგი პირს, რომლის უფლების შეზღუდვაც ხდებოდა, გადამეტებულ ტვირთს და ხომ არ აძლევდა სამართალშემფარდებელს თვითნებობის საშუალებას.

საკონსტიტუციო სასამართლომ არ გაიზიარა მოსარჩელის პოზიცია იმასთან დაკავშირებით, რომ სადავო ნორმა იძლეოდა არა დანაშაულის ჩადენაში ეჭვმიტანილი, არამედ ნებისმიერი პირის დაკავების საშუალებას. საკონსტიტუციო სასამართლომ სადავო ნორმა განმარტა არა იზოლირებულად, არამედ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის სხვა, მასთან დაკავშირებულ ნორმებთან კავშირში. კერძოდ, იმის დასადგენად, სისხლის სამართლის პროცესის მიზნებისათვის ვინ შეიძლება იქნეს განხილული „ეჭვმიტანილად“, რომლის დაკავებაც შესაძლებელია, სასამართლომ მოიშველია კოდექსის მე-12 მუხლი, 44-ე მუხლის 23¹ ნაწილი, 141-ე და სხვა მუხლები. აღნიშნული მუხლების ერთობლივი ანალიზის საფუძველზე, სასამართლომ დაასკვნა, რომ „ეჭვმიტანილი“, რომლის დაკავებაც შესაძლებელია, არის პირი, რომლის მიმართაც არსებობს 1) „გონივრული ეჭვის საფუძველი, რომ მან

ჩაიდინა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაული”, მაგარამ ეს ეჭვი არ არის საკმარისი ბრალდების წასაყენებლად, 2) დანაშაული რომლის ჩადენაშიც არსებობს მის მიმართ ეჭვი, ითვალისწინებს სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთას, 3) სახეზეა პირის დაკავების რომელიმე მიზანი (პირი განაგრძობს დანაშაულებრივ საქმიანობას, გაანადგურებს მტკიცებულებებს) და 4) ყოველივე ზემოაღნიშნულის არსებობის შემდგომ, წარმოიშობა პირის დაკავების რომელიმე, მათ შორის სადავოდ გამხდარი ნორმით გათვალისწინებული საფუძველი. სასამართლოს აზრით, პირის დაკავება არის სამართალგამომყენებლის შესაძლებლობა და არა ვალდებულება, მოახდინოს ნებისმიერი პირის დაკავება, რომლის მიმართაც გააჩნია გარკვეული ეჭვი. იმისათვის რომ დაკავება იყოს კანონიერი და დასაბუთებული, სახეზე უნდა იყოს ამ კომპონენტების ერთობლიობა: გონივრული ეჭვი კონკრეტული დანაშაულის ჩადენაში, დაკავების მიზანი და საფუძველი. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 72-ე მუხლი დღესაც უშვებს შესაძლებლობას, პირი გამოძიებლის ან პროკურორის დადგენილებით ისე იქნეს ცნობილი ეჭვიმიტანილად, რომ საერთოდ არ განხორციელდეს მისი დაკავება. შესაბამისად, სასამართლომ დაასკვნა, რომ პირის მიერ დანაშაულის ჩადენის ეჭვის წარმოშობა ცალსახად არ უკავშირდება პირის დაკავებას და „ეჭვიმიტანილის“ სტატუსის შეძენას.

სასამართლომ გადაწყვეტილებაში გამიჯნა ის გარემოებები, რაც შეიძლება დაედოს საფუძვლად გონივრული ეჭვის წარმოშობას იმ გარემოებებიდან, რომელიც შეიძლება დაედოს საფუძვლად პირის დაკავებას. სასამართლოს აზრით, დაკავების საფუძვლები კანონში ამომწურავად და ნათლად უნდა იყოს მითითებული, სწორედ ასეთია კონსტიტუციის მე-18 მუხლის მოთხოვნა. რაც შეეხება გონივრული ეჭვის წარმოშობის საფუძველს, მისი კონკრეტული ჩამონათვლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში არ არის და ვერც იქნება. იმის თქმა, რომ მხოლოდ ამ შემთხვევაშია შესაძლებელი წარმოიშვას გონივრული ეჭვი და ამით გამოირიცხოს ყველა სხვა შემთხვევა, შეუძლებელია. სასამართლომ მიუთითა, რომ „ეჭვი“ არ არის კანონმდებლის მიერ ამომწურავად განსაზღვრადი კატეგორია და გაჩნდება თუ არა ის, ეს დამოკიდებულია მთელ რიგი ობიექტური და სუბიექტური გარემოებების ერთობლიობაზე კონკრეტულ შემთხვევაში. კანონმდებელი მოკლებულია შესაძლებლობას გათვალისწინოს ყველა კონკრეტული შემთხვევის შესაძლო ვარიანტი და კონკრეტული სცენარი. მთავარია მისი გზავნილი კანონის აღმასრულებლის მიმართ იყოს კონსტიტუციური.

სასამართლომ თავისი მოსაზრებები, გონივრულ ეჭვთან დაკავშირებით, ჩამოაყალიბა საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ გადაწყვეტილებაში საქმეზე მიურეი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ ხაზი გაუსვა, რომ ეჭვის სანდოობა შეადგენს მისი საფუძვლიანობის ერთ-ერთ აუცილებელ ელემენტს. თუმცა, ეჭვი საფუძვლიანად ჩაითვლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის ასევე დაფუძნებულია ფაქტებზე ან ინფორმაციაზე, რაც ობიექტურად აკავშირებს ეჭვიმიტანულ პირს შესაძლო დანაშაულთან. საქმეზე ფოქსი, კემპბელი და ჰარტლი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ სასამართლომ მიუთითა, რომ „გქონდეს გონივრული ეჭვი“ ნიშნავს იმგვარი ფაქტებისა და ინფორმაციის არსებობას, რაც დააკმაყოფილებდა ობიექტურ დამკვირვებელს, რომ პირმა ჩაიდინა დანაშაული. თუმცა, რა შეიძლება ჩაითვალოს „გონივრულად“, დამოკიდებულია შემთხვევის ყველა გარემოებაზე. მსგავსი მიდგომა ბრინეგარის საქმეში ჩამოაყალიბა აშშ-ის უზენაესმა სასამართლომ: „საფუძვლიანი ეჭვი სახეზეა მაშინ, როცა

ფაქტები და გარემოებები,... რომლის თაობაზეც სამართალდამცავ პირს გააჩნია გონივრულად სარწმუნო ინფორმაცია, არიან თავისთავად საკმარისი, რათა გონივრულად წინდახედულმა ადამიანმა დაიჯეროს, რომ დანაშაული იქნა ჩადენილი ან სჩადიან...”.

სასამართლომ არ გაიზიარა მოსარჩელის მსჯელობა იმასთან დაკავშირებით, რომ დაკავების საფუძველი აუცილებლად თვითონ უნდა წარმოშობდეს გონივრულ ეჭვს. სასამართლოს აზრით, შესაძლებელია დაკავების რომელიმე საფუძველმა დამოუკიდებლად წარმოშვას გონივრული ეჭვი, მაგარამ ეს არ გამოორიცხავს, გონივრული ეჭვის წარმოშობა მოხდეს სხვა მონაცემების საფუძველზე, რომელიც წინ უსწრებს დაკავების საფუძვლის წარმოშობას. სასამართლო ამ ნაწილში დაეყრდნო საკონსტიტუციო სასამართლოს 2003 წლის 29 იანვრის გადაწყვეტილებაში გამოთქმულ მოსაზრებას, „სხვა მონაცემები შესაძლოა საფუძვლად დაედოს ეჭვს და არა პიროვნების დაკავებას“.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსმა პირის დაკავებისათვის დაადგინა უფრო მაღალი სტანდარტი, ვიდრე არის გონივრული ეჭვის წარმოშობა, რომ პირმა ჩაიდინა დანაშაული, დააწესა დაკავების საფუძვლები, რომლებიც გონივრულ ეჭვთან ერთად კუმულაციურ კავშირში კრავს იმ მოცემულობას, რა დროსაც შესაძლებელია პირის დაკავება. სასამართლოს აზრით, სადავო ნორმით განსაზღვრული პირის „მიმალვა არ უნდა იქნეს გაგებული როგორც მხოლოდ პირის ადგილსამყოფლის ცვლილება. მიმალვა, როგორც ამას მოსარჩელე მხარეც იზიარებს, გულისხმობს მომავალ საფრთხეს, რომ პირი თავს აარიდებს გამოძიებას და სასამართლოს. მიმალვა თავის თავში ასევე მოიცავს საფრთხეს, რომ პირი გააგრძელებს დანაშაულებრივ საქმიანობას, ჩაიდენს დანაშაულს თუნდაც იმისათვის, რომ ხელში არ ჩაუვარდეს საგამოძიებო ორგანოებს, გაანადგურებს მტკიცებულებებს, თუ მიეცემა ამის საშუალება. საბოლოო ჯამში, უკიდურესად გართულებდა, თუ საერთოდ შეუძლებელი არ გახდება შესაბამისი პირის მიმართ მართლმსაჯულების განხორციელება“.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ გადაწყვიტა, რომ სადავო ნორმა შეესაბამებოდა როგორც განსაზღვრულობის, ასევე თანაბარბოძიებების კონსტიტუციურ პრინციპებს, მასში მოცემული შეზღუდვა აუცილებელი იყო ლეგიტიმური მიზნის, მართლმსაჯულების განხორციელებისათვის და იგი არ აკისრებდა პირს გადამეტებულ ტვირთს. შესაბამისად, საკონსტიტუციო სასამართლოს მეორე კოლეგიამ აღნიშნული სარჩელი არ დააკმაყოფილა და კონსტიტუციურად ცნო სადავოდ გამხდარი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 142-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტი.

პროფესორმა ო. გამყრელიძემ სასამართლოს მიერ საკითხის ამგვარად გადაწყვეტასთან დაკავშირებით, გამოთქვა კრიტიკული მოსაზრება. იგი თვლის, რომ კანონში ამომწურავად უნდა იყოს ჩამოთვლილი ის შემთხვევები, რა დროსაც შეიძლება წარმოიშვას „გონივრული ეჭვი“. თუ კანონმდებელი ვერ მოახერხებს ამგვარი შემთხვევების ამომწურავი ჩამონათვლის გაკეთებას, მას შესაძლებლობა აქვს, მომავალში შეავსოს კანონმდებლობა ასეთი შემთხვევებით. თუკი კანონმდებლის მიერ ასეთი ჩამონათვალი არ იქნება გაკეთებული, ეს თვითნებობის საშუალებას მისცემს პოლიციელს ან საგამოძიებო ორგანოს თანამშრომელს, რომელიც ახორციელებს პირის დაკავებას. პროფესორ ო. გამყრელიძეს მიაჩნია, რომ სადავო ნორმით განსაზღვრული საფუძველი, „პირი შეიძლება მიიმალოს“ თვითონ, დამოუკიდებლად

უნდა წარმოშობდეს გონივრულ ეჭვს, რომ პირმა ჩაიდინა დანაშაული. მაგალითად, როგორც ამგვარ ეჭვს წარმოშობს დაკავების სხვა ისეთი საფუძველი, როგორიცაა დაზარალებულის ან თვითმხილველის მითითება დანაშაულის ჩამდენ პირზე. თუ დაკავების საფუძველი არ წარმოშობს გონივრულ ეჭვს, მის საფუძველზე განხორციელებული დაკავება, პროფესორ ო. გამყრელიძის აზრით, არაკონსტიტუციური იქნება.

პროფესორ ო. გამყრელიძის ზემოაღნიშნულ მოსაზრებებს ვერ დავეთანხმებით. „გონივრული ეჭვის“ გამომწვევი ფაქტორები არ არის ის სამართლებრივი გარემოებები, რომლის ამომწურავად კანონში აღწერა შესაძლებელი იყოს. ესა თუ ის გარემოება, ერთ კონკრეტულ სიტუაციაში შეიძლება მართებულად ახდენდეს გონივრული ეჭვის ფორმირებას და სრულიად გამოუსადეგარი იყოს სხვა კონკრეტული სიტუაციისათვის. ვინაიდან, სამწუხაროდ, არა გვაქვს შესაძლებლობა, მიმოვიხილოთ საქართველოს სასამართლოების გადაწყვეტილებები (პრაქტიკის არარსებობის გამო), თუ როგორ განმარტავენ ისინი გონივრული ეჭვის სტანდარტს პირის დაკავებისას, მოვიტანო ამერიკის შეერთებული შტატების უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებას საქმეზე „ბრინეგარი ამერიკის შეერთებული შტატების წინააღმდეგ“. სასამართლომ აღნიშნულ საქმეში განაცხადა: „როცა ჩვენ ვსაუბრობთ საფუძვლიან ეჭვზე, ჩვენ საქმე გვაქვს შესაძლებლობებთან. ეს არის არა ტექნიკური, არამედ ფაქტობრივი და პრაქტიკული, ცხოვრებისეული მოსაზრებები, რომლის საფუძველზეც, გონიერი და წინდახედული ადამიანები და არა სამართალმცოდნეები მოქმედებენ. მტკიცების სტანდარტი ამ შემთხვევაში კორელატიურია იმისა, რაც უნდა დადგინდეს. საფუძვლიანი ეჭვის განმარტება არის გონივრული საფუძველი ბრალის დაჯერებისთვის, ...ის აღნიშნავს მეტს ვიდრე მხოლოდ ეჭვს: საფუძვლიანი ეჭვი სახეზეა მაშინ, როდესაც ფაქტები და გარემოებები, რომლებიც ცნობილია ოფიცირისთვის და რომლის თაობაზეც სამართალდამცავ პირს გააჩნია გონივრულად სარწმუნო ინფორმაცია, არის თავისთავად საკმარისი რათა გონივრულად წინდახედულმა ადამიანმა დაიჯეროს რომ დანაშაული იქნა ჩადენილი ან სჩადიან... იმის გამო, რომ ბევრი სიტუაცია, რომელიც ხვდება ოფიცერს თავისი მოვალეობების შესრულებისას დიდწილად ბუნდოვანია, სივრცე უნდა დარჩეს მათ მიერ გარკვეული შეცდომების დაშვებისთვის. მაგრამ ეს შეცდომები უნდა იყოს გონიერი ადამიანის შეცდომები, რომლებიც მოქმედებენ ფაქტების საფუძველზე და ეს ფაქტები გონივრულად ქმნიან შესაძლებლობასთან დაკავშირებული დასკვნის გაკეთების საშუალებას. საფუძვლიანი ეჭვის წესი არის პრაქტიკული, არატექნიკური კონცეფცია, რომელიც ყველაზე კარგი კომპრომისის საშუალებას იძლევა სამართლის დაცვისა და მოქალაქეების თვითნებობისგან დაცვის კონფლიქტურ ინტერესებს შორის“. მსგავსი მიდგომა აქვს განვითარებული საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოსაც ზემოთ ნახსენებ გადაწყვეტილებაში: „სხვა მონაცემები საფუძვლად შეიძლება დაედოს ეჭვს“. სასამართლომ აღნიშნული მიდგომით დაადასტურა, რომ მონაცემები, რომლებიც საფუძვლად შეიძლება დაედოს ეჭვს, ამოუწურავია. სწორედ აღნიშნული მიდგომა გაიზიარა საკონსტიტუციო სასამართლოს მეორე კოლეგიამ 2009 წლის 8 აპრილის გადაწყვეტილებაში.

საილუსტრაციოდ შეიძლება მოვიყვანოთ შემდეგი კაზუსი: მოხდა მკვლელობა. მოკლულს შუბლზე ამოტივრული აქვს Y გამოსახულება. საგამოძიებო ორგანოს მუშაკმა დაადგინა, რომ მრავალბინიანი სახლის ეზოში, რომელშიც ნაპოვნი იქნა მოკლულის ცხედარი, ცხოვრობს X პირი, რომელიც ახალი გათავისუფლებულია ციხიდან, სადაც სასჯელს იხდიდა

მკვლელობისათვის, რომლის განხორციელების დროსაც მოკლულს შუბლზე ამოატვიფრა Y გამოსახულება. ამასთანავე, გამომძიებელს აქვს ინფორმაცია, რომ აღნიშნულ პირს შელაპარაკება მოუხდა გარდაცვლილთან, რა დროსაც მას დაემუქრა მოკვლით. შეიძლება თუ არა მოცემულ შემთხვევაში გამომძიებელს გაუჩნდეს გონივრული ეჭვი, რომ მკვლელობა ჩადენილია X პირის მიერ. პროფესორ ო. გამყრელიძის მოსაზრებებს თუ დავეყრდნობით, გამომძიებელს არ შეიძლება გაუჩნდეს ზემოაღნიშნულ შემთხვევაში გონივრული ეჭვი, ვინაიდან გარემოებები, რომლებიც საფუძვლად დაედო მის ეჭვს (პირი ადრე ნასამართლევი იყო მსგავსი დანაშაულისათვის, შელაპარაკება ჰქონდა დაზარალებულთან, რა დროსაც მას მოკვლით დაემუქრა) არ არის მოცემული სსსკ-ის 142-ე მუხლში მოხსენიებულ არც ერთი დაკავების საფუძველში. მოცემულ შემთხვევაში, რა თქმა უნდა, გამომძიებელს შეიძლება გაუჩნდეს გონივრული ეჭვი, რომ მკვლელობა X პიროვნების ჩადენილია. ნებისმიერ ნეიტრალურ დამკვირვებელს გაუჩნდებოდა ასეთი ეჭვი, მიუხედავად იმისა, რომ მსგავს შემთხვევას სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი არ აღწერს და წარმოუდგენელიცაა, როგორ შეიძლება მასში მოხდეს კონკრეტული სიტუაციების რეგლამენტირება.

საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-3 პუნქტი არ ავალდებულებს კანონმდებელს, განსაზღვროს კონკრეტული გარემოებები, რა შემთხვევაში შეიძლება პირზე მიტანილი იქნეს ეჭვი, რომ მან ჩაიდინა დანაშაული. კონსტიტუცია კანონმდებელს ავალდებს, კანონით განსაზღვროს, თუ რა შემთხვევაშია შესაძლებელი, მოხდეს ასეთი პირის დაკავება და, შესაბამისად, თავისუფლების უფლების შეზღუდვა.

გარემოებები, რომლებიც საფუძვლად დაედო დაკავებაზე უფლებამოსილი პირის გონივრული ეჭვის ფორმირებას, რამდენად დასაბუთებელია, უნდა შემოწმდეს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში. ამის კომპეტენცია გააჩნია სასამართლოს დაკავების დასაბუთებულობისა და კანონიერების შემოწმების პროცესში. თუ სასამართლო დაადგენს, რომ გარემოებები, რომლებიც საფუძვლად დაედო დაკავებაზე უფლებამოსილი პირის ეჭვს, არაგონივრული იყო, იგი დაკავებას ცნობს დაუსაბუთებლად. შესაბამისად, დაკავებაზე უფლებამოსილ პირს არ რჩება თვითნებობის არანაირი არეალი.

კანონმდებელი კონსტიტუციით ბევრად შეზღუდულია დაკავების საფუძვლების განსაზღვრისას. მას აკისრია ვალდებულება ასეთი საფუძვლები განსაზღვროს ამომწურავად და ამასთანავე ამტკიცოს, რომ ეს საფუძვლები აუცილებლად ემსახურება დაკავების მიზნის რეალიზებას. დაკავების საფუძვლების შემოღებით, კანონმდებელი აწესებს კიდევ ერთ დამატებით ბარიერს პირის თავისუფლების შეზღუდვის გზაზე და აკეთებს იმ ამომწურავი შემთხვევების ჩამონათვალს, რა დროსაც უკიდურესად აუცილებელი ხდება პირის დაკავება. ზემოთ მოყვანილი კაზუსიდან ჩანდა, რომ გამომძიებელს შეიძლებოდა გასჩენოდა გონივრული ეჭვი X პირის მიერ დანაშაულის ჩადენის შესახებ, მაგრამ ის ვერ განახორციელებს დაკავებას, თუ მას არ ექნება დამატებით სსსკ-ის 142-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძველი. სადავო ნორმა ასეთ საფუძვლად განიხილავს „პირი შეიძლება მიიმალოს“. აშკარაა, რომ, თუ ეჭვმიტანილი პირი მიიმალება, ვერ იქნება მიღწეული დაკავების მიზნები, თავიდან იქნეს აცილებული მტკიცებულებების განადგურება, ახალი დანაშაულის ჩადენა და ა.შ. ის, თუ რამდენად რეალური იყო იმის საშიშროება, რომ პირი მიიმალებოდა, ამის შემოწმების უფლება გააჩნია საერთო სასამართლოს და დაკავებაზე უფლებამოსილი პირი,

ისევე როგორც სსსკ-ის 142-ე მუხლში გათვალისწინებული სხვა საფუძვლებით პირის დაკავებისას, ვალდებულია ამტკიცოს, რომ ასეთი საშიშროება ნამდვილად არსებობდა. სხვა შემთხვევაში სასამართლო დაკავებას ცნობს დაუსაბუთებლად. ასე რომ, სადავო ნორმა ამ შემთხვევაშიც დაკავებაზე უფლებამოსილ პირს არ უტოვებს თვითნებობის არანაირ საშუალებას. საკონსტიტუციო სასამართლო აფასებს ნორმის ნორმატიულ შინაარსს, რამდენად უშვებს იგი სამართალგამომყენებლის მიერ თვითნებურად გამოყენების შესაძლებლობას. როგორც ზემოთ მოყვანილი მსჯელობიდან ჩანს, კანონმდებელი, ისევე როგორც სადავო ნორმით, ზოგადად სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით, არ ტოვებს პირის დაკავებისას თვითნებობის საშუალებას. მისი გზავნილი სამართალგამომყენებლის მიმართ კონსტიტუციურია და საკონსტიტუციო სასამართლო ვერ დაუშვებდა იმის პრეზუმციას, რომ ყოველივე ზემოაღნიშნული სხვაგვარად იქნებოდა გაგებული დაკავებაზე უფლებამოსილი პირების ან საერთო სასამართლოების მიერ.

ვერ გავიზიარებ მოსაზრებას იმის შესახებ, რომ დაკავების საფუძვლები აუცილებლად დამოუკიდებლად უნდა ახდენდნენ „გონივრული ეჭვის“ ფორმირებას და სსსკ-ის 142-ე მუხლში მითითებული ყველა სხვა საფუძველი, გარდა სადავო ნორმით გათვალისწინებული შემთხვევისა, აუცილებლად და ყველა შემთხვევაში უზრუნველყოფენ ასეთი ეჭვის გაჩენას.

კანონმდებლის მიზანს, დაკავების საფუძვლების შემოღებისას, არ წარმოადგენდა დაედგინა გონივრული ეჭვის წარმოშობის სტანდარტი და კონკრეტული შემთხვევები. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ასეთი რამ შეუძლებელია. გარემოებები, რომლებიც წარმოქმნიან გონივრულ ეჭვს, შესაძლებელია წინ უსწრებდეს დაკავების საფუძვლების გაჩენას, თვით დაკავების საფუძველი იქნეს განხილული ერთ-ერთ ასეთ გარემოებად ან სახეზე იყოს ორივე ერთდროულად. დამოუკიდებლად დაკავების საფუძვლის არსებობა, რამდენად შეიძლება იყოს გონივრული ეჭვის ფორმირების საფუძველი, ეს გადასაწყვეტია ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, გარემოებათა შეჯერების საფუძველზე. ავიღოთ ისეთი საფუძველი, როგორიცაა დაზარალებულის მითითება ეჭვმიტანილ პირზე. ერთი შეხედვით ჩანს, რომ აღნიშნული გარემოება ყველა შემთხვევაში წამოშობს გონივრულ ეჭვს, რომ პირმა ჩაიდინა დანაშაული. გარკვეულ სიტუაციებში ეს ასე შეიძლება სულაც არ იყოს. მაგალითად, დაზარალებულმა მიუთითა X პირზე, როგორც დანაშაულის ჩამდენზე. გამომძიებელმა მოიძია ინფორმაცია, რომ X პირი დანაშაულის ჩადენის მომენტისათვის საერთოდ არ იმყოფებოდა ქვეყნის ტერიტორიაზე ან ჩადენილია ძარცვა და პირზე, რომელზეც მოხდა მითითება, არა აქვს ხელფები. გამომძიებელს ამ შემთხვევაში ფორმალურად სახეზე აქვს დაკავების საფუძველი (დაზარალებულის მითითება), მაგრამ გარემოებათა შეჯერების შედეგად, მას არ შეიძლება ჰქონდეს გონივრული ეჭვი, რომ X პირმა ჩაიდინა დანაშაული. თუ იგი ასეთ შემთხვევაში მაინც განახორციელებს დაკავებას, აღნიშნული დაკავება იქნება დაუსაბუთებელი, მიუხედავად იმისა, რომ დაკავების საფუძველი, როგორც ასეთი, არსებობდა. სხვა შემთხვევაში და გარემოებების თანხვედრისას, დაზარალებულის მითითება სრულიად შესაძლებელია გახდეს გონივრული ეჭვის წარმოქმნის საფუძველი. იგივე შეიძლება ითქვას სადავო ნორმით გათვალისწინებულ დაკავების საფუძველზე. განსაზღვრულ სიტუაციაში, სადავო ნორმით გათვალისწინებულმა გარემოებამ, სხვა გარემოებებთან ერთობლიობაში ან დამოუკიდებლად, სრულიად შესაძლებელია წარმოშვას დაკავებაზე უფლებამოსილი პირის გონივრული ეჭვი. სადავო ნორმის, ისევე როგორც დაკავების სხვა საფუძვლების მიმართ, ვერ იქნება წაყენე-

ბული მოთხოვნა, რომ მათ აუცილებლად უნდა მოახდინონ გონივრული ეჭვის ფორმირება, ვინაიდან ზოგადად მათი არსებობის მიზანს არ წარმოადგენს გონივრული ეჭვის წარმოშობის კონკრეტული შემთხვევების განსაზღვრა.

საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებაში შეიძლება გამოიყოს რამდენიმე მომენტი, რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს ქართული კონსტიტუციური მართლმსაჯულების განვითარებისათვის: საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლით დაცული პირის თავისუფლების უფლების განმარტება; „გონივრული ეჭვის“ სტანდარტის დადგენა პირის დაკავებისას, რასაც დიდი თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა ექნება; საკონსტიტუციო სასამართლოს მიდგომის ჩამოყალიბება, თუ რა შემთხვევაში შეიძლება ჩაითვალოს ახლად მიღებული ნორმა არაკონსტიტუციური ნორმის შინაარსის ანალოგიური შინაარსის მქონე ნორმად. სასამართლოს გადაწყვეტილება ერთი მხრივ, იძლევა იმის საშუალებას, რომ ხელი არ შეეშალოს ეფექტურ ბრძოლას დამნაშავეობასთან, ხოლო მეორე მხრივ კი, მაქსიმალურად იქნეს დაცული ადამიანის უფლებები და არ განხორციელდეს პირის თვითნებური და უსაფუძვლო დაკავება.